სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/01

ქ. თბილისი

10 აგვისტო 2021

სს – საქართველოს ბანკის მიერ შემოთავაზებული სახელშეკრულებო პირობების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2021 წლის 10 თებერვლის №00000087792 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 10 თებერვლის №01-06-02/01 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, გააფორმოს ხელშეკრულება სს – საქართველოს ბანკთან მის მიერ შემოთავაზებული სახელშეკრულებო პირობების თანახმად, კერძოდ:
   - საბანკო მომსახურების ხელშეკრულება დაიდოს 8-წლიანი ვადით (2019-2027წწ);
   - ბანკი მზადაა ყოველწლიურად უნივერსიტეტის საჭიროებისათვის გაიღოს 236 000 ლარი, რაც ჯამურად შეადგენს 1 888 000 ლარს;
   - ბანკი უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცემს 2 (ორი) ავტომობილს.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**